„ბახმარო ჩვენთვის ხომ მხოლოდ კურორტი არ არის..“

რატომ არ გაეცა სკოპინგის განხილვაზე კითხვას პასუხი

ალიონი. მდინარე ბახვისწყალზე ჰესების აგების შესახებ, 2011 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მწვავე დებატები გაიმართა ამ პროექტის ავტორ **„ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერის“, „ქეიჯი ენერგოს“** ხელმძღვანელებსა და ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. განსაკუთრებული შეშფოთება გაისმა „ბახვი-1 ჰესის“ პროექტის შესახებ, რომელიც ზღვის დონიდან 1125 მეტრ სიმაღლეზე **80 მეტრი სიმაღლის კაშხალის აგებას ითვალის-წინებდა.** „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერის“ გენერალური დირექტორის **შამილ ბირკაძის** თქმით, ეს იქნებოდა ყველაზე მაღალი დაწნევის ჰესი საქართველოში. **ხელოვნური ტბის სიგრძე 3 კილომეტრი იქნებოდა.** ოზურგეთელი **გიგა ხარაბაძის** კითხვას, ბახმაროს უნიკალურ კურორტის კლიმატზე რა გავლენას მოახდენდა ეს ჰესი, შამილ ბირკაძემ უპასუხა, რომ თუკი ეკოლოგიური პრობლემები შეიქმნებოდა, ამ შემთხვევაში მეორე პროექტი ამოქმედდებოდა. საინტერესოა, რომ მანამდე ზოტიჰესის“ მშენებლობის დაწყებისას გაკეთდა პროექტი, რომლითაც მდინარე ბახვისწყალი გვირაბით მდინარე გუბაზეულს უნდა შეერთებოდა და ამით მდინარე გუბაზეული გაეძლიერებინათ(?!) (გაზეთი „ალიონი“, №1-2, 9 იანვარი, 2012 წ.)

იმჟამინდელი შეხვედრების შემდეგ „ბახვი 1-ის“ ბმშენებლობის თემა შეჩერდა და აქტიური „ბახვი 2 ჰესი “ გახდა, ხოლო „ბახვი 3“ სოფელ მთისპირში, უკანავას უბანში გაიხსნა 2013 წლის 5 დეკემბერს. (მშენებლობისას დაშვებული შეცდომების გამო, ძლიერმა მეწყერმა დიდი ზიანი მიაყენა ჰესის მთავარ კორპუსს და შპს „ბახვი ჰაირდო ჯგუფს“ მისი ხელახლა აგება მოუწია).

2019 წელს, სოფელ მთისპირში „გამა კოსტალტინგმა“ ადგილობრივების მცირე ჯგუფთან „ბახვი 2“-ის მშენელობის პროექტი წარადგინა, ხოლო „მივიწყებული“ „ბახვი 1 ჰესის“ თემა შარშან, გაზაფხულზე გაისმა. უფრო მეტიც, **8 აგვისტოს, სასტუმრო „რუმსში“ საქართველოს მდგრადი განვითარების და ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ საინვესტიციო ფონდის „ცერბერუს კაპიტალ მენეჯმენტის“ აფილირებულ კომპანია „ცერბერუს ფრონტიენ ჯორჯიასთან“„ბახვი 1 ჰესის“ განვითარების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა“, ხოლო ჰესის მშენებლობას აპირებს შპს „სი-სი-ი ეიჩ ჰაიდრო VI“, რომელიც ოფიციალურად 2020 წლის 20 იანვარს დარეგისტრირდა (?!).**



29 იანვარს კი ონლაინ რეჟიმში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მდინარე ბახვისწყალზე 12 მგვტ. დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენებზე მომუშავე ჰესის მშენებლობის სკოპინგის ანგარიში განიხილეს, რომელიც შპს „გამა კონსალტინგმა“ წარმოადგინა.

თურქული KEM-ის შვილობილი კომპანიის KG Enerji -ის დირექტორმა **ვახტანგ ღონღაძემ** თქვა, რომ *„ჩვენ ვაშენებთ ჰესებს, რომელიც მოგვცემს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, რადგან იმპორტზე დამოკიდებულება არის პრობლემა“*...ხოლო „გამა კოსტალტინგის“ წარ-

▶▶▶ გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 2 (10373) 4 თებერვალი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე არანაკლებ საინტერესო თემებით

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წლევანდელი წლის პირველი სხდომა 29 იანვარს ფოლკლორის სახლში გამართა. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე არანაკლებ საინტერესო გამოდგა საკრებულოს დეპუტატების მიერ დაყენებული დაყენებული წინადადებები და გამოთქმული მოსაზრებები.

საკითხის დეტალურად განხილვისა და საფუძვლიად შესწავლის შემდეგ, დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (მ2 და მ3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების მიღებას.

როგორც დეპუტატებმა თქვეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ განხილული და სხდომაზე წარმოდგენილი პროექტი სრულად აკმაყოფილებს წაყენ-

▶▶▶ გვ-2

აშენდება თუ არა ტოქსიკური საწარმო

საპროტესტო აქცია ოზურგეთში

ალიონი. 26 იანვარს, ქ. ოზურგეთში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის საპროტესტო აქცია გაიმართა. 80-მდე ადამიანი შპს „არერსა მეთალის“ მიერ მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების საწარმოს მშენებლობას აპროტესტებდა. 28 იანვარს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღნიშნული საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვა უნდა გამართულიყო.

2020 წლის აგვისტოში, ადგილობრივი მოსახლეობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნილ კოლექტიურ წერილში (ხელს აწერდა 72 კაცი), გზშ-ს განხილვის ოზურგეთში გამართვას და მათ ჩართულობას ითხოვდნენ. თუმცა სამინისტრომ არ გაითვალისწინა მათი თხოვნა, ლოქდაუნის დროს ონლაინ რეჟიმში გადაწყვიტა განხილვის გამართვა.

ბოლო დღეებში საპროტესტო მუხტი გაძლიერდა. **20 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წერილობით მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განხილვის გადადების შესახებ.** 25 იანვარს სამინისტრომ განხილვა 2 თვით გადადო, შეწყვიტა აღნიშნული დოკუმენტის ადმინისტრაციული წარმოება და შპს „არერსა მეთალს“ საფუძვლიანი შენიშვნები გადაუგზავნა. ALNIMNULI WERILITAC DASTURDEBA, ROM **ALNIMNULI PROEKTIS SKOPINGIS ETAPZE MISI SAJARO GANXILVA ARA CATAREBULA**, XOLO ANASEULIS WYALMOMARAGEBIS JABURDILE-BI, ROMLIC ALNIMNULI QARXNIDAN 20-30 METRSI MDEBAREOBS DA **SAXELMWIFOM ANASEULIS DASASLEBIS WYALMOMARAGEBIS PROEKTZE 7 MILIONI LARI DAXARJA, SAERTOD ARA IYO SETANILI GZS-SI** (?!).

აქციაზე სიტყვებით გამოვიდნენ: გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე **ირმა გორდელაძე**, საიას ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი **თამაზ ტრაპაიძე**, ექადიის უბნის მცხოვრები **კაკო თავდუმაძე.**

მოსახლეობის კითხვებს შპს „არერსა მეთალის“ აღმასრულებელი დირექტორმა შავლეგ მიგრიაულმა უპასუხა.

შავლეგ მიგრიაული გაზეთ „ალიონთან“ ამბობს, რომ **ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე კიდევ 3 საწარმოს გაკეთებას გეგმავენ, ფერადი ლითონების გადამამუშავებელი საწარმო პრობლემას არ შეუქმნის მიმდებარე მოსახლეობას.**

აქციის მონაწილე **ცისანა ცენტერაძემ** გაზეთ „ალიონთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან არც ერთი ხელმძღვანელი აქციაზე არ მოსულა, მით უმეტეს, WINASAARCEVNO SECVEDRISAS OZURGETIS MERI **KONSTANTINE SARASENIZE** MOSAXLEOBAS SEPIRDA, ROM ASETI SAXIS TOQSIKURI SAWARMO OZURGETSI ARA ASENDEBODA..ASETIVE SEPIREBA HQONDAT MAT AMJAMAD PARLAMENTARI **VASILI CIGOGIZESAGANAC...**

„არერა მეთალმა“ სამინისტროში ახალი გზშ 2 თვეში უნდა წარადგინოს.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორვი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი
ოხშაბათი ალიონზე
«ალიონით»

სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე არანაკლებ საინტერესო თემებით

ებულ მოთხოვნებს და მნიშ-ვნელოვნად გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობებს.

სხდომაზე დაამტკიცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმა.

ასკანის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ლევან ნინიძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ **სოფელი ასკანა დღემდე ფაქტობრივად ბუნებრივი აირის გარეშეა და ეს საკითხი აქ დღეს პირველად არ დასმულა, ეს მაშინ, როდესაც გაზსადენის მაგისტრალი სოფელში გადის და მეზობელი სოფლებიც რამდენიმე წელია გაზიფიცირებულია.**

საკრებულოს თავმჯდომარის **დავით დარჩიას** თქმით, ანალოგიურ სიტუაციაშია სხვა რამდენიმე სოფელიც. საქმის ყურშია გურიის მაჟორიტარი დეპუტატი ვასილ ჩიგოგიძე, რომელიც ამ საკითხზე შეხვდა მინისტრს. მისულია საქმე სახელმწიფოსა და „სოკარს“ შორის ურთიერთშეთანხმებაზე. როგორც კი ამ შეთანხმებას ხელი მოეწერება, ხსენებულ სოფლებში გაზიფიკაციის სამუშაოები დაიწყება.

სასიხარულო ინფორმაციით დაიწყო თავისი გამოსვლა ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საკრებულოს დეპუტატმა **ვასო ჩიგოგიძემ.** როგორც მან აღნიშნა, პანდემიის პირობების მიუხედავად თეატრმა მოამზადა 7 პრემიერა და ახლა მუშაობს მერვეზე. რომ არა პანდემია ეს პრემიერები უკვე შემდგარი იქნებოდა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იმედოვნებს, რომ წლეულს შეძლებენ ნოდარ დუმბაშის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ჩატარებას.

ჩიგოგიძემ აქვე დასვა სამი საკითხი: *თეატრის წინამდებარე მოედანს მიენიჭოს თეატრალური მოედნის სახელი; ქალაქსა და სოფლებში მოსაცდელებზე გაკეთდეს დაფები აფიშებისთვის, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია; მოეწყოს მემორიალური დაფები.*

პირველი საკითხი მანვე მოხსნა როცა ითქვა, რომ ეს მოედანი ატარებს ზვიად გამსახურდიას სახელს, თუმცა იქვე დასძინა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა თეატრის დაარსების 120 წლისთავი იზეიმეს, ამ მოედანს თეატრალური მოედანი ერქვა და ამისი შესაბამისი დოკუმეტაციაც აქვს.

აქვე გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ მოედანს ეწოდოს ზ. გამსახურდიას სახელობის თეატრალური მოედანი.

რაც შეეხება მეორე და მესამე საკითხებს, განაცხადეს, რომ სააფიშე დაფების გაკეთება და მონტაჟი არ არის ძნელად გადასაწყვეტი საკითხი, ხოლო მემორიალური დაფების მოწყობაზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება.

შეზღუდვების ჩამონათვალი, რომელიც კვლავ ძალაში დარჩა

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების ნაწილი დღეიდან იხსნება. საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში მოქმედი შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის გეგმა რამდენიმე დღის წინ დაამტკიცა.

კერძოდ, ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, შეზღუდვები ეტაპობრივად შემსუბუქდება:

ყველა ქალაქში ღია და დახურული ბაზრობები გაიხსნება 15 თებერვლიდან. იმის გათვალისწინებით, რომ აჭარაში ინფიცირების დადებითობის შვიდი დღის საშუალო მაჩვენებელი 4%-ზე დაბალია, აჭარაში პირველი თებერვლიდან დაშვებული იქნება კვების ობიექტებში ღია სივრცეებში სტუმრების მიღება. კვლავ ძალაში რჩება ქორწილების, სხვადასხვა სოციალური ღონისძიებისა თუ წვეულების გამართვასთან დაკავშირებით მოქმედი აკრძალვა.

სხვა რეგიონებში რესტორნები და კვების ობიექტები, მათ შორის სასტუმროებში, გააგრძელებენ მუშაობას არსებულ რეჟიმში – გატანა-მიტანის სერვისით. საბავშვო ბაღების მუშაობის აღდგენა, ასევე პროფესიულ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სტუდენტების აუდიტორიებში დაბრუნება დაგეგმილია პირველი მარტიდან. პირველ მარტამდე ქვეყნის მასშტაბით ძალაში რჩება გადაადგილებაზე არსებული შეზღუდვა 21:00 საათიდან 05:00 საათამდე.

გაზრდილი მობილობის კომპენსირების მიზნით, თებერვლის განმავლობაში, შაბათ-კვირას არ იფუნქციონირებს მუნიციპალური ტრანსპორტი, ხოლო რესტორნები, კვების ობიექტები და მაღაზიები იმუშავებენ მხოლოდ გადატანა-მიტანის სერვისით; აგრარული ბაზრები, სურსათის და ცხოველების საკვების მაღაზიები, აფთიაქები გააგრძელებენ მუშაობას ჩვეულ რეჟიმში, შესაბამისი წესების დაცვით.

ძალაში რჩება ყველა სხვა შეზღუდვა, მათ შორის სათხილამურო კურორტებზე. ამ ეტაპზე შეზღუდული იქნება საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მუშაობაც. აუცილებელია პირბადის, მომხმარებელთა ნაკადების, რიგებისა და დისტანციის მართვა, რაც მკაცრად გაკონტროლდება. შეზღუდვების შემსუბუქების პარალელურად, ვირუსის გავრცელების შესაკავებლად, ბიზნესს ექნება ვალდებულება, იზრუნოს პერსონალის ტესტირებაზე.

ბიზნესთან და ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად, თითოეული ეკონომიკური საქმიანობისთვის, ეპიდემიოლოგიური რისკ-ფაქტორებიდან გამომდინარე, დადგინდა სავალდებულო ტესტირების პროტოკოლები – პერსონალის მინიმალური რაოდენობა და ტესტირების სიხშირე.



ყველა ტიპის სავაჭრო ობიექტი, 30-ზე მეტი თანამშრომლით, მათ შორის ბაზრობები, ვალდებული იქნებიან, უზრუნველყონ ორ კვირაში ერთხელ თანამშრომელთა არანაკლებ 20%-ის ტესტირება. კვების ობიექტებისთვის სავალდებულო იქნება ორ კვირაში ერთხელ თანამშრომლების 50%-ის ტესტირება. ორ კვირაში ერთხელ განხორციელდება მასწავლებელთა სისტემური ტესტირება.

გურიის პოლიციის დეპარტამენტს ლევან ხარაბაძე უხელმძღვანელებს

გურიის პოლიციის დეპარტამენტს ლევან ხარაბაძე უხელმძღვანელებს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში დღეს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ გახდა ცნობილი.

შსს-ში დღეს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, გურიის პოლიციის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. მურადაშვილის 4 წლიანი მმართველობა დღეს ლევან ხარაბაძემ გადაიბარა. მან ამ პოსტზე კახა მურადაშვილი შეცვალა,რომელიც კახეთის დეპარტამენტის უფროსად გადაიყვანეს.

ლევან ხარაბაძე ხარაბაძე ბოლო პერიოდში სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა.

სოფელ ხვარბეთში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დამთავრდა

მერიის ტერიტორიულ ერთეულში, სოფელ ხვარბეთში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებით საბავშვო ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია დასრულდა.

შენობა, რომელიც წლების განმავლობაში უფუნქციოდ იყო სრულად გარემონტდა.

დასრულებული პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ დაათვალიერა, რომლის გადაწყვეტილებითაც ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, შენობის სრული რეკონსტრუქცია განხორციელდა.



მოეწყო სამყოფი ოთახი, საძინებელი, სველი წერტილები და წყლის სისტემა.

პროექტის განმახორციელებელია "ჯორჯიან ბილდინგ კომპანი."

სამუშაოების ჯამური ღირებულება 118 442 ლარს შეადგენს.

სასწავლო პროცესი განახლდა

1 თებერვალს, გურიის რეგიონის საჯარო და კერძო სკოლებში სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში განახლდა.

პედაგოგებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს კოვიდ 19 - ზე ჩაუტარდათ ტესტირება. სკოლები აღიჭურვა ხელის სადეზინფექციო საშუალებებით, დასუფთავების სპეციალური ხსნარებით, დეზობარიერებით და თერმოსკრინინგის აპარატებით.

განათლების ინფრასტრუქტურის განახლება: პანდემიის მიუხედავად რეგიონში არ შეჩერებულა არც ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტი. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა.

2020 წელს დასრულდა:

ოზურგეთში სოფ. ბახვის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის 1 საჯარო სკოლის მესამე კორპუსის რეაბილიტაცია და ამავე სკოლის ტერიტორიაზე ინოვაციების ცენტრის მშენებლობა.

რეგიონში მიმდინარე წელს დასრულდება 6 საჯარო სკოლის მშენებლობა და 7 სკოლის სრული რეაბილიტაცია.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 60-მდე სკოლაში. მოეწყო სველი წერტილები და შეიცვალა დაზიანებული სახურავები.

„ბახმარო ჩვენთვის ხომ მხოლოდ კურორტი არ არის..“

რატომ არ გაეცა სკოპინგის განხილვაზე კითხვას პასუხი

მომადგენლის **ჯულული ახვლედიანის** თქმით 16 მილიონიანი პროექტი, ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას. 12 მგვტ.-იანი ჰესი 50 მილონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც ქვეყნის წლიური იმპორტის 3 %-ის ექვივალენტი იქნება.

განხილვილვაზე პასუხი არ გაეცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, ბუნებისდამცველის **ლევან მგელაძის** კითხვას, რა ეღირება ერთი კილოვატი ელექტროენერგია.

—ღირს კი გარემოზე ასეთი ზემოქმედება იმად, რასაც მას ზიანს მივაყენებთ და რატომ არის დაინტერესება მცირე ჰესების ასეთი მშენებლობით. ***არ გაქვთ პასუხი რა ეღირება ერთი კილოვატი ელექტროენერგია, იქნებ ყიდვა ჯობდეს, ვიდრე ასეთ მძიმე პრობლემებს შეუქმნიდეთ „მწვანე რეგიონს“, სადაც ტურიზმია მთავარი შემოსავალი.***

ამ რეგიონში, მხოლოდ წყალუხვობისას (მაისი, ივნისი) გაქვთ ჭარბი ელექტროენერგია, სხვა დროს თქვენი ჰესები ვერ მუშაობს დატვირთვით, ამაში უნდა ჰყავდეთ სახელმწიფოს 30 წელი დოტაციაზე. ეკონომიურად და ენერგეტიკულად არაა ეს პროექტი წარმოდგენილი —განაცხადა განხილვაზე **ლევან მგელაძემ.**

პროექტის ავტორებს ასევე შეახსენეს, რომ თურქეთში ჭარბი ელექტროენერგიის გაყიდვის თემა, დემაგოგიას უფრო ჰგავს, რადგან თურქეთში იმდენი ჰესი აიგო, ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ღირებულება 7 ცენტიდან 4 ცენტამდე დაეცა.

გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარის **ირმა გორდელაძის** თქმით, ბახმაროს სარეკრეაციო ზონაში „ბახვი 1 ჰესი“ არ უნდა აშენდეს.

—მთელი გურია დადგება ფეხზე და ამ პროექტის განხორციელებას არ დაუშვებს —განაცხადა ირმა გორდელაძემ.

კითხვაზე, რას უპირებენ იხტიოფაუნას, ნაკადულის კალმახს, რომელიც გადაშენების გზაზეა, პროექტის ავტორებმა უპასუხეს, რომ მათ პროექტში შემოვლითი გზის გაკეთებაცაა გათვალისწინებული.

ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის **გიგი მახარაძის** კითხვები ბახმაროს მწვანე საფარს, რომელიც მთავარია ბახმაროს კლიმატის შექმნაში, საფეხმავლო და საცხენოსნო ტურიზმის პრობლემებს, ელექტროგადამცემი ხაზები გაივლის ტუ არა დაბაში, და ბახმაროს კანალიზაციის თემას შეეხებოდა.

მას უპასუხეს, რომ ჰესის მშენებლობისას არც ერთი ძირი ნაძვი და სოჭი არ მოიჭრება. მოჭრიან მხოლოდ წიფელას, რცხილას განსაზღვრული ოდენობით, ასევე ჰესი პრობლემას არ შეუქმნის ტურისტულ მარშრუტებს; ელექტროგადამცემი ხაზები დაბაში არ გაივლის, მაგრამ მოხდება ბახმაროს 35 კილოვატიანი ხაზის გაძლერება.

სტუდენტმა **გიორგი ჯავახიშვილმა** ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე დაუსვა კითხვა პროექტის ავტორებს, თუმცა პასუხი დამაჯერებელი არ გახლდათ.

ინფორმაციისათვის: „კავკასიის ქარის კომპანია“ ზესტაფონსა და კასპში გეგმავს 50 და 54 მეგავატი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების დადგმას.

—„სკოპინგის განხილვისას იყო ბრძოლა ბახმაროს გადასარჩენად.

რათქმაუნდა დაისვა უამრავი კითხვა, რომლის ძირითადი არსი იყო — გვიღირს კი ერთი დაბა ჩოხატაურისხელა დასახლებას რომ ელექტროენერგია ეყოფა იმის ფასად ბახმაროს ეკოსისტემაში ჩარევა?

ვერც ჰესის მშენებლობის მსურველმა კომპანიიამ გაგვცა კითხვაზე პასუხი — რა ეღირება მათ მიერ გამომუშავებული ერთი კილოვატი ელექტროენერგია.

ვერც იმაზე მივიღეთ პასუხი მდ.ბახვისწყალზე და მდ. ბაისურასწყალზე წყალშეგუბება და მერე 4 კილომეტრ მანძილზე მდინარის მილში გატარება რას მოუტანს ხეობას და ბახმაროს ტყეებს. მთელი წყლის მარაგს რომ ჰესი წაიღებს და არასაკმარისი წყალი არ ექნება მთის ფერდობებს და ტყეს... წარმოიდგინეთ რაცმოხდება. მერე ამ ჰესს „ბახვი 2“ ჰესი უერთდება და 7 კილომეტრ მანძილზე. კიდევ მილში გაივლის მდინარე ბახვისწყალი.

სამინისტროს წარმომადგენლებს კატეგორიულად მოვთხოვეთ ჩამოვიდნენ გურიაში და საზოგადოებას შეხვდნენ. ონლაინ განხილვაზე ბახმაროს ბედი ვერ გადაწყდება.

მოგვიწევს სამოქალაქო მოძრაობის დაწყება.

ჩვენ შენიშვნებს ოფიციალურად გავაგზავით“ —წერს „ეკოს“ თავმჯდომარე **ირმა გორდელაძე** თავის ფეისბუქგვერდზე.

სკოპინგის ონლაინ განხილვაში არ მონაწილეობდა ჩოხატაურის წარმომადგენლობა.

— ბახმარო ჩვენთვის ხომ მხოლოდ კურორტი არარის. მისი ბედი უბრალო მოკვდავთათვის სულერთი არ არის, ამიტომ, თუ დასაცავია,უნდა დავიცვათ.ეს ჩვენი ვალია. ჩვენმა წინაპრებმა დღემდე მოიტანა ეს ულამაზესი ბუნება დაიცვა ფლორა და ფაუნა. მადლობა მათ. ისე მოვიქცეთ, რომ მომავალმა ჩვენც გვითხრას მადლობა. რამე არ შეგვეშალოს. ეს არც არჩევნებია, რომელიმე პარტიის მხარდაჭერა გამოვხატოთ და არც მასკარადი, მაყურებლები რომ ვიყოთ, ეს ყველა ჩვენთაგანის ვალია. ეს ბახმაროა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გვითხრას, რა ხდება ბახმაროში .როდის არის მეორე განხილვა და სხვა დეტალები. დასკვნები უნდა იყოს მოსახლეობისათვის გასაგები. .ასევე საინტერესოა 29 იანვარს საკრებულოს სხდომაზე რატომ არ გაეცა ამას პასუხი. ნუთუ დეპუტატებს არ აინტერესებდათ რა ხდება ბახმაროში? ***ძალიან გვაინტერესებს თუ თანხმდება ეს საკითხი ადგილობრივ თვითმართველობასთან. საერთოდ რა უფლებამოსილება აქვს თვითმართველობას კანონმდებლობის მიხედვით ჰესების მშენე-ბლობის დროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.*** *რატომ არ იღებდა განხილვაში ჩოხატაურელი დეპუტატები, როცა ეს ასე მარტივი ყოფილა. ეს კითხვები ყველა დეპუტატთან და მერიის კაბინეტთან გვაქვს* — წერს „შალომ კლუბ გურიას“ პრეზიდენტი **ზაურ ოსეფაიშვილი** სოციალურ ქსელში.

რას ამბობენ აქციის მონაწილეები და სპეციალისტები ფერადი ლითონების საწარმოს მშენებლობის შესახებ



„ორქისის“ კვლევით საქართველოს მცირე მდინარეებს შორის მდინარე ბჟუჟი ტყვიით ყველაზე უფრო დაბინძურებული მდინარეა, რაც „მანსაროვარის“ და „ჯეოგადამამუშავებელის საქმიანობას უკავშირდება.

ექიმმა, ოზურგეთის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით მდინარაძემ რედაქციას მოაწოდა კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით ბავშვებში ტყვიის შემცველობის მხრივ აჭარა-გურია ლიდერობს. ორგანიზმში ტყვიის ზედმეტი შემცველობა პირველ რიგში ბავშვებში ინტელექტუალურ განვითარებაზე მოქმედებს.

თამაზ საჯაია, *თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრები: — არ გვინდა ტოქსიკური საწარმო. დაგვაყენეთ ამ ქვეყანაზე, ამ უბანში, სადაც ჩემი წინაპრები საუკუნებზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ, რას გვერჩით, რატომ გვიმოკლებთ სიცოცხლეს. რას გააკეთებთ ისეთს ქვეყნისთვის, ამდენ ოჯახს სასიკვდილოდ რომ გაიმეტებთ. საკმაოდაა თაყაიშვილის ქუჩაზე ბენზინგასამართი, გაზგასამართი სადგურები, „ბლექსი ჯგუფის“ ასფალტ-ბეტონი ქარხანა, რომელიც საკმარისად აბინძურებს გარემოს.*

ნუკრი ვასაძე, *უნივერსიტეტის ქუჩის მცხოვრები — ვიცი რას ნიშნავს დღეს სამუშაო ადგილები, მაგრამ ასეთ საწარმოში სამუშაოს დაწყებას არავის არ ვუსურვებ. ევროპამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ ჰაერისა და წყლის ხარისხის გასუფთავებესებლად სუფთა და ეფექტურ ტექნოლოგიებში უზარმაზარი კაპიტალდაბანდებები ჩადეს. მათ ბინძური საწარმოები ქვეყნიდან გაიტანეს. ჩვენთან კი პირიქითაა, მავნე საწარმო ქვეყანაში შემოგვაქვს?*

მერაბ ზაქარიაძე, *მანქანათმშენებელი ინჟინერი: — როცა ანასეულის ექსპერიმენტულ მანქანათმშენებელ ქარხანაში მშენებლობისას დავიწყე მუშაობა - ამ ქარხნის კომპლექტაციის საქმე ჩამბარეს. ქარხანა 1985 წლის 1 იანვარს გავიდა ექსპლოატაციაში. ამ დროისათვის ქარხანა 130-ზე მეტ ტექნიკურ დანადგარს ითვლიდა. მათ შორის რამდენიმე უნიკალურ ჩარხს.. უნივერსალურ სახარატო, სახარატო-რევოლვერულ, კარუსელურ, საღარავ, კბილსაფრეზ, სარანდ, საბურღ, შიგნაჩარხ ჩარხებს.. რამდენიმე ჩარხის ღირებულება ხუთნულიან ციფრს შეადგენდა, იმჟამინდელ საბჭოურ რუბლში. იყო სხვა უნიკალური დანადგარები, ამწე კრანები. ქარხანაში 120-ზე მეტი ადამიანი მუშაობდა.*

გასული საუკუნის 90-იანი წლებში, სხვა საწარმოების მსგავსად ქარხანა არ გაძარცვულა და შეინარჩუნა ძირითადი ტექნიკური დანადგარები, რათა შემდეგ ინდოელ „ინვესტორებს“ რომ დაეშალათ, ნაწილი უცხოეთში გაეყიდათ, ნაწილი კი ჯართში ჩაებარებინათ.

აზერბაიჯანისა და თურქეთისაგან განსხვავებით, სადაც ჩაის ბუმია, წინა ხელისუფლებამ 2010 წლის აგვისტოში 125 000 ლარად „მიჰყიდეს“, უფრო სწორად აჩუქეს ე.წ. „ინვესტორებს“ 3 ჰექტარი მიწა, უზარმაზი საწარმოო კორპუსი მისი დანადგარებით. ინდოელ მეპატრონეებს თავი არ შეუწუხებიათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, ქარხნის პროფილის შენარჩუნებაზე.

სამაგიეროდ, შპს „მანსაროვარმა“ინდოეთიდან ჩამოიყანა თანამემამულეები და დაიწყეს ჩარხების დაშლა და მისი რეალიზაცია. 2011 წლისათვის ქარხანაში 2 ადგილობრივი მუშობდა. თავიდან პლასმასის წარმოება დაიწყეს, შემდეგ ტყვიის კუსტარულ წარმოებაზე გადავიდნენ და დიდი ზიანი მიაყენეს დედა-ბუნებას. ***ახლა გვეუბნებიან, ფერადი ლითონების გადასადნობ საწამოს გავხნით,სადაც 10 000 ტონამდე ნადნობს მივიღებთ და დაგვეთანხმეთო.*** *რა თქმა უნდა ეს მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს. ამ მხრივ თუ რა პოზიცია უკავია მოსახლეობას, ეს საპროტესტო აქციაზეც დავინახეთ.*

ნანული ორაველიძე, *მეცნიერი, ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი: —გურიაში, ქ. ოზურგეთის დასახლებაში ტოქსიკური საწარმოს გახსნა იმდენად არალოგიკურია, არასწორია და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დანაშაულებრივია, ამ საკითხის განხილვა საერთოდ უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან. ნუთუ შეიძლება მთავრობამ ასეთი გაუაზრებელი ქმედება ჩაიდინოს და მოსახლეობა ასე გაწიროს. გურიას სამი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დაუფლების მქონე დებუტატი ჰყავს პარლამენტში. პარლამენტმა ხომ უნდა გაუწიოს მონიტორინგი მთავრობის მუშაობას.დაუშვებელია. რომ მათ არ განიხილონ გარემოს დაცვის სამინისტროს არასწორი გადაწყვეტილება, რომელიც შეცდომას შეცდომაზე უშვებს აგრარული პრობლემების მოგვარებისას. შედეგიც სახეზეა. ფინანსები იხარჯება, სოფლის მეურნეობის აღორძინებას საშველი არ ადგება. ან როგორ მოგვარდება პრობლემა, როდესაც სუბტროპიკული ზონის კლიმატის პირობებში, როგორზეც ბევრი ქვეყანა ოცნებობს, ინვესტორს უფლებას აძლევენ ხან ტყვიის, ხანაც ალუმინის მომწამვლელი საწარმო გახსნას მისი მოგების და არა ქვეყნის და საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე.*

ქეთინო ზოიძე, ექიმი: —*კატეგორიულად მიუღებელია ასეთი მავნე საწარმოს გახსნა! არათუ იმ ადგილას, საერთოდ არ უნდა აშენდეს ოზურგეთში, ისედაც საკმარისადაა დაბინძურებული ჰაერიც და მდინარეებიც. ონკოლოგიური დაავადებებულთა რიცხვი ყველაზე მეტი ოზურგეთშია.*

ამ საქმეში საჯარო განხილვას აზრი არ აქვს, მოსახლეობის აზრი ისედაც კარგად ეცოდინებათ! რატომ უნდა სჭირდებოდეთ ადამიანებს ისედაც ყოველდღიური პრობლემებით დამძიმებულებს ქუჩაში გამოსვლა ?!

მოვითხოვოთ იმ ადამიანების ჩართვა, ვისაც რეალურად შეუძლია პრობლემის გადაწყვეტა.!

„ალიონი“ 90 წლისაა

არქივიდან, 1935

არც ერთი მშრომელი უობლიგაციოდ

რაიონში 19 მაისისათვის მე-2 ხუთწლედის(მესამე წლის გამოშვება) სესხზე მუშამოსამსახურეების მიერ ხელმოწერილია 557,000 მან. საკონტროლო დავალების 107,1 პროც.

კოლმეურნეობებში ხელმოწერილია 180,000 მან. (საკ. დავალების 80 პროც.) შეუკავშირებელ მოსახლეობაში გავრცელებულია 47,000 მან. (საკონტროლო დავალების 104,4პროც.) ინდ. სექტორში 6000 მან (გეგმის 75 პროც.)

სესხის რეალიზიციაში წინ მიდიან ნატანების, ნაგომრის, ბახვის, კონჭკათის, სილაურისა და მთისპირის სას. საბჭოები.

სამარცხვინოდ ჩამორჩებიან დვაბზუს, მელექედურის, მაკვანეთის და ვაკიჯვრის სას. საბჭოები.

გამაგრილებელი წყლები

ქალაქის მომხმარებელთა კოოპერატივის გამგეობა აწყობს ქრისტიფორე ვასაძის ქუჩაზე გამაგრილებელი უალკოჰოლო წყლების სანიმუშო საჩვენებელი მაღაზია.

გამაგრილებელი წყლების წერტები გაიხსნება აგრეთვე ლენინის მოედანზე, საკოლმეურნეო ბაზარში და ქალაქის მუშათა კლუბში.

№26, 20 მაისი, 1935 წ.

მთავრდება ახალი გზის მშენებლობა

ნატანებისა და შრომის საბჭოების მოსახლეობა მუდამ ტანჯვას განიცდიდნენ უგზოობის გამო. 1932 წელს კი რაიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით და „საქ-ჩაის“ დახმარებით დაიწყო გზების გაყვანა, რომლის სიგრძე 12კილომეტრს აღემატება.

ივნისის ბოლო რიცხვებში ეს გზა უკვე შევა ექსპლოატაციაში.

შრომა-ნატანების გზა რაიონისათვის სერიოზული მნიშვნელობის გზაა, ერთი იმ მხრივ, რომ ის უერთდება შრომის ჩაის ფაბრიკას და მეორე მხრივ ის არის ციტრუსის რაიონის ცენტრალური გზა.

გზის საბოლოო დამთავრება კიდევ თხოულობს სერიოზულ მუშაობას. ამისათვის ნატანებისა და შრომის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა საბოლოოდ, კიდევ ერთხელ უნდა აიღონ ბოლშევიკური ტემპი გზის დამთავრებისთვის.

ს. ჯაველიძე

№32, 9 ივნისი, 1935 წ.

ჩვენს რაიონში ახალი სას. საბჭოები

სადირექტივო საბჭოების გადაწყვეტილ-ებით ჩვენს რაიონში გამოიყო ახალი სას. საბჭოები:

თხინვალი, რომელშიც შედის სამხთოს, მჭედუაურის, ჯაფარეულის, ზედობნის უბნები და თვით თხინვალი.

გაკირული, შედის ბოხვაური, ლაშეგაკირული და სხვ.

კვირიკეთი, (შედის ცენტრით ცენტრით გაკირული და თვით კვირიკეთი).

მახარაძის სას. საბჭო გადატანილია ჩაის ფაბრიკის მიდამოებში (შედის სოფ. ოზურგეთი და ქალაქის ნაწილი).

ექადია (ცენტრ.ჩაის გამოსაკვლეო ინსტიტუტი, ექადია).

ლაითურის კიროვის სახელობის მუშათა დასახლების უბნის საბჭო.

ურეკის ლიმონ-მანდარინის სას. საბჭო 9შევა მთლიანად მეურნეობის მუშა მოსამსახურეები).

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სას. საბჭო (ცენტრით საბჭ. მეურნეობისაგან).

სხვადასხვა ტელეფონის ქსელის გაფართოება

ამ დღეებში მახარაძის კავშირგაბმულობის რაიგანყოფილება მიიღებს დამატებით ტელეფონის 10 ადგილიან კომუნდატორს, რომელიც დააკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას მთლიანად.

ყვავილების მაღაზია

ქალაქის საბჭოს კომგანმა გურიის ქუჩაზე მოაწყო სხვა და სხვა მცენარეების ყვავილების მაღაზია, სადაც გაიყიდება ყველა ჯიშის ყვავილოვანი მცენარეები ყუთებში.

ელსადგური შემოქმედში

შემოქმედის ადგილობრივი პარტსაბჭოთა ორგანიზაციების ინიციატივით დაიწყო მდინარე ჟუჟზე 100 ცხენის ძალიანი ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც დამთავრდება უახლოეს ხანში და გაანათებს შემოქმედის კოლმეურნეების სახლებს და ქუჩებს.

№34, 18 ივნისი, 1935 წ.

ახალი ტექნიკუმი ქ. მახარაძეში

საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დადგენილებით სექტემბრიდან ქ. მახარაძეში იხსნება მედტექნიკუმი, სადაც მიღებული იქნება 70 მსმენელი.

ცოფიანი ძაღლიდან შეკბენილთათვის თავშესაფარი

ქ. მახარაძის პასტერის სადგურთან ამ დღეებში გაიხსნება შორიდან მოსული ცოფიანი ძაღლების შეკბენილთათვის 10 საწოლიანი თავშესაფარი.

საცდელი ფაბრიკა

საკავშირო ჩაის მახარაძის სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტს დღემდე არ ჰქონდა ჩაის საცდელი გადამუშავებისათვის ფაბრიკა. ახლა უკვე სდგება პროექტი. ფაბრიკის მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წელს.

№35, 22 ივნისი, 1935 წ.

აგარაკი ნაფოცხვარა (ბომის მთა)

აგარაკი ნაფოცხვარა საკოლმეურნეო დასასვენებელი ადგილია. ექიმების დასკვნით ეს აგარაკი მალარიის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებაა. აგარაკზე სეზონი იხსნება 1 ივლისიდან. აგარაკისათვის გამოყოფილია ექიმი, გაიხსნება აფთიაქი, სასადილო და სხვ.

დარეჯან ესაძე

საკალდებულო დადგენილება №8

მახარაძის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის აგარაკ ბახმაროზე და გომისმთაზე მოაგარაკეთა და ტვირთის გადაზიდვის ნიხრების შესახებ

22 ივნისი, 1935 წ. ქ. მახარაძე

1) ვაკიჯვრიდან აგარაკ ბახმაროზე მოაგარაკეთაგადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის ნიხრი განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) უნაგირიანი ცხენით სარგებლო-ბისთვის ვაკიჯვრიდან ბახმარომდე დაწესდეს 65 მან. ხოლო კეხიანი კი -75 მან.

2).ასეთი ნიხრი დაწესდეს ასკანის, მთისპირის, და ბახვის სას. საბჭოებიდან მგზავრების გადასაყვანადაგარაკ ბახმარომდე.

3)გომის მთაზე უნაგირიანი ცხენით სარგებლობისათვის დაწესდეს 45 მან, ხოლო, –კეხიანით კი 55 მან.

4). ვაკიჯვრის, მთისპირისა და შემოქმედის სოფსაბჭოებს ნება დაერთოს გადაახდევინოს ჩალვადარს გადაყვანილ თითო მოაგარეკეზე სამ-სამი მანეთი, (თავისი ცხენით მიმავალი მოაგარაკეები ასეთებს არ იხდიან), რომელი თანხა გაიხმარონ აგარაკის გზების შეკეთებაზე, რომლის დანიშნულებისამებრ გახარჯვის ზუსტი კონტროლი დაევალოს რაიფინგანს.

5) დადგენილების ზუსტად გატარების პასუხისმგებლობა დაეკისროს შესაბამის სოფლსაბჭოს თავრეებს.

6) დამრღვევნი ამა დადგენილებისა დაჯარიმებული იქნებიან 100 მან.

7) ამა დადგენილების ცხოვრებაში ზუსტად გატარებისათვის მეთვალყურეობა დაევალოს რაიონის მილიციას.

8) დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე კ. გოგუაძე

მდივანი კ. შევარდნაძე

№36, 28 ივნისი, 1935 წ.

ხიდი მდინარე ჩოლოქზე

რაიაღმასკომის საგზაო განყოფილებამ (გამგე ამხ. ს. ჯაველიძე) ამ რამდენიმე ხნის წინათ დაიწყო ხიდის მშენებლობა ჩოლოქის წყალზე.

ამჟამად მშენებლობა დამთავრების პროცესშია.

ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ხიდის აგება უნდა დამჯდარიყო –129. 000 მანეთი, მაგრამ ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით მისი აგება ჯდება 25.000 მანეთამდე.

მდინარე ჩოლოქზე ხიდის აგებით ქ. მახარაძე საავტომობილო გზით დაუკავშირდება ქ. ბათომს.

№55, 15 სექტემბერი, 1935 წ.

თვალსაზრისი

ეს ჩემი ნააზრევია, თქვენი კი თქვენ იცით

რაც უნდა პარადოქსულადაც გეჩვენოთ, დადის ხმები, რომ რუსეთის საეკლესიო წრეებში არის იდეა, იოსებ სტალინი შერაცხონ წმინდანად. რატომაც არა?

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ავიცენა ამბობდა, ბავშვი რომ გაგიჩნდება, უპირველესად, დაარქვი კარგი სახელიო. სრული ჭეშმარიტებაა, ვინაიდან ცუდი სახელი და გვარი მთელი ცხოვრება ტანჯავს ადამიანს (საქართველოშიც არის გვარები, რომლებიც არა მხოლოდ მის მატარებელს, არამედ ერსაც არ ამშვენებს, მაგალითად: ნაბიჭვრიშვილი, შეყლაშვილი, ქიბროწაშვილი... რა არის ეს? გვარის შეცვლა არ შეიძლება? თუმცა, ამ თვალსაზრისით, მე ვის რა უნდა ვასწავლო, როცა ჩემი სახელის ყოველთვის მრცხვენოდა, მაგრამ არ მეყო ჭკუა, შემეცვალა).

ვინაიდან კარგ სახელს კარგი გვარი ამშვენებს, დავიწყოთ ამით. საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ მას, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, ერთი ძველი ანეკდოტი მოუხდებოდა: პეტრე პირველთან, იმ დროისთვისაც კი უჩვეულო განცხადებით, მისულა ვინმე, ასე ვთქვათ, „მოქალაქე“, რომელიც თავის გვარს უჩიოდა. მისი გვარი კი, არც მეტი, არც ნაკლები, ასე ჟღერდა: „სემიჟოპოვ“. პეტრესაც ჰყოფნია იუმური, ჩამოუშორებია მხოლოდ ორი და დაუტოვებია „ხუთი“.

ისტორიული წყაროებიდან, მათ შორის ალექსანდრე პუშკინის „ისტორია პეტრადან“, ჩანს, რომ მაშინდელ რუსეთში მსგავსი კურიოზები არ ყოფილა იშვიათი. თითქმის ყველა შინაური თუ გარეული ცხოველისა და ფრინველის, ასევე ზღვებისა და ოკეანეების ბინადრების სახელწოდებებიდან გამომდინარეობდა გვარები. განვითარებული ინდუსტრიალიზაციის შემდეგ კი გამოჩნდა ჟელეზნიაკოვი, ზალატარიოვი, მედუნოვი, ჩუგუნოვი... მაგრამ საუკუნეების მანძილზე არ გამოჩენილა გვარი „სტალინ“. რატომ? რუსეთისთვის უცხო იყო ეს მეტალი? კი, მაგრამ მთელი ურალი და ციმბირი რომ დგას მადნეულზე, რომლისგანაც მიიღება ეს უსტრატეგიულესი მეტალი?! რა ფენომენთან გვაქვს საქმე???

ჭირვეულმა სამხედრო ბედმა ხომ არ იზრუნა იმაზე, რომ გვარი იყო ის თუ ფსევდონიმი, სტრატეგიულად საჭირო და ლამაზად ჟღერადი სიტყვა „სტალინ“ შემოუნახა რუსეთს, არ გაფლანგა წვრილმანებში და მოახმარა თავისი ისტორიის ყველაზე კრიტიკულ მომენტში. შეიძლება კი იმის გამორიცხვა, რომ „სტალინი“ არ აიძულებდა ჯუღაშვილს, იმ ყოფნა-არყონის პერიოდში, ყოფილიყო ყველაზე ძლიერი და ჭკვიანი?!

დავფიქრდეთ (თუ შევძლებთ, ან გვეყოფა მოქალაქეობრივი გამბედაობა) და წარმოვიდგინოთ, ეს სასულიერო სემინარიელი იმდენად საშიში დარჩა რუსული იმპერიისთვის, რომ რამდენჯერმე გადაასახლეს ყველაზე ცივ ადგილებში, საიდანაც, მათი გათვლით, თბილ კლიმატში გაზრდილი ადამიანი უკან ვერ უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ მოხდა პირიქით, როცა კრასნოიარსკიდან მდინარე ამურზე ნავით გადაჰყავდათ 2000 კილომეტრზე, სოფელ მონასტირსკოემდე, გაიყინა პოლიციელი, დაიხრჩო მენავე, ასე რომ, სწორად შენიშნა ანრი ბარბიუსმა თავის წიგნში „სტალინი“: „გადასახლებიდან გამოქცევისას, ციმბირის ულმობელმა ქარბუქმა გაყინა მთლიანად მისი სხეული და ციმბირის ყინვამ კობას მკერდში მოკლა ჭლექი, თვით ფოლადის კაცს კი ვერაფერი დააკლო. მომაკვდინებელ ქარბუქსა და უძლეველ სენზე გაიმარჯვა ერთდროულად ერთადერთი მტკიცე ადამიანის ნებისყოფამ“.

პოლარული წრის მიღმა, სოფელ კურეიკიდან მარხილით გამოქცეული „კობა“ (ნუ დაგვავიწყდება, რომ მარტო კრასნოიარსკამდე 2000 კილომეტრია) ბრუნდება პეტროგრადში უკვე „სტალინი“, რომელიც მიიღო ხალხმა, შეიყვარა, გაჰყვა და გაიმარჯვა. შემდეგ რაღაც 30 წლის მანძილზე შექმნა უდიდესი იმპერია კაცობრიობის ისტორიაში. რაც შექმნა, კარგი იყო თუ ცუდი, სხვა თემაა. ამის განმსჯელი იყო და რჩება ისტორია. მე პიროვნებაზე ვსაუბრობ, თუ რა შეძლო.

ასეთი ადამიანის ლანძღვა (განსაკუთრებით საქართველოში) სირცხვილია, ვინაიდან არც ერთ მონარქს თეთრი ხელთათმანებით იმპერია არ აუშენებია. თუ ვინმე შეძლებს და ერთ მაგალითსაც დაასახელებს კაცობრიობის ისტორიიდან, როგორც იტყვიან, მისი ხმალი და ჩემი კისერი, – ხუმრობის გარეშე. (სტალინის ლანძღვა-გინებით ხალხის ყურადღება გადაიტანეს და გაძარცვეს უმდიდრესი ქვეყანა. მძარცველები და მათი შთამომავლები, რომლებიც დღესაც სარგებლობენ იმ ნაძარცვით, გაიძახიან, რა დროს სტალინზე ლაპარაკიაო? მართალია, ლაპარაკის დრო ამოწურულია. უნდა გასამართლდნენ მძარცველები – ცოცხლებიც და გარდაცვლილებიც. მათ უნდა ჩამოერთვათ სასახლეები ელისეის მინდვრებზე, ბადენ-ბადენში და მსოფლიოს სხვა პრესტიჟულ ადგილებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძარცვა გაგრძელდება და გადავგვარდებით.

ვინც იმას ამტკიცებს, რომ სტალინის ფენომენში ღმერთის ხელი არ ურევია, რომელიც დაახლოებით ისეთ სიღარიბეში და ისეთივე ბოსელში იშვა, როგორშიც იესო, რომლის ვირტუალური მისია იყო, რაც გვაქვს, ხოლო სტალინის იმოდენა ისტორიული ძვრები მსოფლიოს მასშტაბით შემთხვევითობით და თვითდინებით ხდებოდა, უკაცრავად, მაგრამ ასეთ ხალხს ღმერთი არ სწამთ, მეტიც, მათ ეშინიათ ღმერთის, ისევე როგორც ეშინოდათ და დღესაც ეშინიათ სტალინის და ეს იმიტომ, რომ 90%-ით, იგივე ათი მცნებით აშენებდა იმოდენა ქვეყანას. რაც შეეხება 10%-ს, ქირურგიული

გვ-6

ექსკლუზივი

ნასაპირალის კრიმინალური ქრონიკა

დასაწყისი იხ. „ალიონი,“№34-36, 2020წ. №1 2021

მამუკა გოგუაძე

— თამაზ, ახლა ჩვენი იქ მისვლა საქმეს წინ ვერ წასწევს. ამოდი, მოვილაპარაკოთ, როგორ ვიმოქმედოთ. ერთი საათი არაფერს გადაგვიწყვეტს. გელოდები.

საქმის ასე გაგრძელებამ ფიქრები აუშალა პროკურორს. ხვდებოდა, რომ ბევრი უსიამოვნო და ტკივილიანი წუთების გადატანა მოუწევდა და თამაზის ამოსვლამდე მოქმედების გეგმას ალაგებდა გონებაში. ორი წუთიც არ იყო გასული, რომ მილიციის უფროსი და პროკურორი ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ და გეგმის შემუშავებას შეუდგნენ.

— ამ საქმეს მხოლოდ ოპერები ვერ მოერევიან. ჩემი წინადადებაა, სანამ ჩვენ ავალთ, მათ მაქსიმალური ინფორმაცია მიიღონ სანდო ხალხისგან, სახლში არავინ შეუშვან. ჩვენ კი, დავურეკოთ სოფელ მერიაში მდგომი საჯარისო ნაწილის უფროსს, ვთხოვოთ 10 შეიარაღებული ჯარისკაცი და მაძებარი ძაღლები დაგვახმარონ. გავიგე, კარგად გაწვრთნილი გერმანული ნაგაზები ჰყოლიათ. წინააღმდეგი ხომ არ ხარ?

— მიუხედავად იმისა, რომ კარგი ოპერები მყავს, შეიძლება მართლაც საჭირო იყოს დახმარება. ვჩქარობდი და ამაზე არ დავფიქრებულვარ. კარგია, შევთანხმდით.

პროკურორმა ღილაკს ხელი დააჭირა, შემოვიდა მდივანი.

— ნინა ხარიტონოვნა, სასწრაფოდ დამაკავშირე მერიის საჯარისო ნაწილის უფროსი ლეონიდ ილიჩი, ბელოვი.

— გისმენთ, ამხანაგო პროკურორო. — გაისმა ტელეფონში ნაბახუსევი კაცისთვის დამახასიათებელი ხმა.

— ლეონიდ ილიჩ, ჩვენი ოპერი დაიკარგა. ეჭვი გვაქვს ერთ პიროვნებაზე, რომელიც მასთან ერთად გაუჩინარდა. ოპერჯგუფი შემთხვევის ადგილზეა. გთხოვთ, სასწრაფოდ დაგვეხმაროთ და გამოგვიგზავნოთ საუკეთესო მომზადების ათი შეიარაღებული ჯარისკაცი გაწვრთნილი ნაგაზებით.

— რა დროისთვის, ამხანაგო პროკურორო?

— ჩათვალეთ, დაგვიანებული ვართ.

— მომეცით დრო, 30 წუთი.

— მილიციის წინ გელოდებით.

— შევთანხმდით.

— თამაზ, ნახევარი საათი გვაქვს დრო, აქაურობას მივხედავ და ჩამოვალ. თუ საჭიროდ მიიჩნევ ვინმეს წამოყვანას, წამოიყვანე.

წამოდგა მილიციის უფროსი და ოთახიდან გავიდა.

პროკურორმა კვლავ გამოიძახა მდივანი.

— ნინა ხარიტონოვნა, თანამშრომლები გააფრთხილე, რომ თათბირი გადადებულია. მივდივარ შემთხვევის ადგილას, სასამართლო ექსპერტს დაუკავშირდი და გადაეცი, სასწრაფოდ მოვიდეს მილიციასთან 20 წუთში, შემთხვევის ადგილზე გასასვლელად.

მდივანმა თავი დაუკრა და გავიდა...

ბევრი საქმე ჰქონდა მდივანს — საქმის წარმოება, უამრავი ქაღალდი, საბეჭდი... ზედმიწევნით პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ამიტომ იყო, რომ პროკურორი ბოლომდე ენდობოდა. სამსახურებრივი და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა ჰქონდა ორივეს...

გაიწელა დრო. ნახევარი საათი ლამის ერთ დღედ იქცა. ჩაიცვა პალტო, ქუდი დაიხურა, კარი დაკეტა და გასაღები მდივანს დაუტოვა ისე, რომ არც უკითხავს მიცემული დავალების შესრულების მდგომარეობა. იმ ნახევარი საათის გასვლამდე შვიდი წუთი იყო კიდევ. გადავიდა მილიციის შენობის წინ, სადაც უკვე ადგილზე იყო სასამართლო ექსპერტი, პატარა ჩემოდნით ხელში. შენობიდან მილიციის უფროსიც გამოვიდა.

ის იყო, საუბარი უნდა დაეწყოთ, რომ მილიციის შენობას სამი „ვილისი“ მოადგა. ერთ-ერთიდან მკვირცხლად გადმოხტა სამხედრო კაპიტანი და ფორმაში გამოწყობილ პროკურორს მიმართა:

— ათი ჯარისკაცი თქვენს დაქვემდებარებაშია.

„ვილისის“ უკანა სავარძელზე პროკურორი და მილიციის უფროსი მოთავსდნენ, წინ კი სასამართლოს ექსპერტი დაჯდა.

10 წუთში ადგილზე იყვნენ. თითქმის მთელი სოფელი გარეთ გამოსულიყო. არ იცოდნენ, რა ხდებოდა და ჭორ-მართალს უზიარებდნენ ერთმანეთს.

დავალება გაცემული იყო, როგორ მოქცეულიყო სანდო ხალხი საეჭვო ინფორმაციის გაგების შემთხვევაში.

ამდენი მანქანის ამოსვლას არავინ ელოდა — არც მილიციის თანამშრომლები, არც მოსახლეობა. მითუმეტეს, შეიარაღებულ სამხედროებს, რომლებმაც მანქანიდან ოთხი შავხალება გერმანული ნაგაზი გადმოიყვანეს.

— სოსო, ხალხი მოარიდე ჯარისკაცებს და ძაღლებს. სამხედროები შევლენ სახლში. მილიციის უფროსის მკაცრ ტონს, სოსომ ვერ უპასუხა, გულში კი გაიფიქრა, აბა, ახლა ჩვენ აქ რას ვაკეთებთო.

ხუთიოდე წუთში სამხედროები მარტიკიანის ეზოში შევიდნენ. ისევ აყეფდა დაბმული ძაღლი, კვლავ ჯაჭვის აწყვეტას ლამობდა. ოთხივე ნაგაზი მივარდა მას საპასუხო ყეფით. ვერავინ გაიგო, რა უთხრეს სამხედროების ძაღლებმა „მასპინძელს“ ისეთი, რომ ეს უკანასკნელი უმალ დადუმდა და თავჩაქინდრული ბუნაგში შეძვრა. ოთხფეხა „სტუმრები“ სახლში შევიდნენ, სუნის აღება დაიწყეს, მოიარეს ოთახები, რამდენჯერმე დაუბრუნდნენ მისაღებში მდგარ მაგიდას. საოცარი ის იყო, რომ მასზე დაყრილი არც პურისთვის და არც ძეხვისთვის პირი არ დაუკარებიათ. ნახევარი საათის განმავლობაში სულ რაღაც ნივთებს ყნოსავდნენ, დაარბენინებდნენ ჯარისკაცების წინ და უკან.

სამხედრო კაპიტანს ლამის ერთხმად უთხრეს პროკურორმა და მილიციის უფროსმა, ჟღენტის სამსახურისკენ წასულიყვნენ. კაპიტანმა ბრძანება გასცა და ჯარისკაცები, მეგზურის მეშვეობით, ძაღლებითურთ მითითებული ადგილისკენ გაემართნენ. კანტორის შენობასთან ხალხს ბლომად მოეყარა თავი. რაღაც რომ მოხდა, იცოდნენ, მაგრამ პროკურორი და მილიციის უფროსი შეიარაღებულ ჯარისკაცებსა და დაგეშილ ძაღლებს თუ ამოიყვანდნენ, ამას არავინ ელოდა.

— გააღეთ კარი! — გასცა ბრძანება ჯარისკაცების თავკაცმა.

მოვიდა დამლაგებელი, შუა ხნის ასაკს გადაცილებული ქალბატონი, ხელის კანკალით ამოიღო ხალათის ჯიბიდან გასაღებების აცმა, ამოარჩია ერთ-ერთი და მოარგო საკეტის ბუდეს, მაგრამ ვერ გააღო, საშინლად ანერვიულდა, ხელები კიდევ უფრო აუცახცახდა. კაპიტანმა თავაზიანად თხოვა გასაღებები, დამლაგებელმაც უყოყმანოდ გადასცა. კარი გააღეს თუ არა, ჯარისკაცები და ძაღლები რწმუნებულის ოთახში შევარდნენ. ვერაფერი ნახეს და მალევე დატოვეს იქაურობა.

— შოთა, ვინც გინდა, დაიტოვე და ის და ეს სახლი შენი განკარგულების ქვეშ იყოს, სანამ სრულ ექსპერტიზას არ გააკეთებ. — უთხრა ექსპერტს პროკურორმა.

თითქოს პროკურორის სიტყვის დამთავრებას ელოდნენო, ძაღლები აყეფდნენ და ადგილიდან მოწყდნენ, ჯარისკაცები ვერ იკავებდნენ მაძებრებს, უკან შეიარაღებული ჯარისკაცები და მილიციის 6-კაციანი ოპერჯგუფი მიჰყვა. პროკურორი და პოლიციის უფროსიც მათ შეუერთდნენ.

ძაღლებმა უცებ გზიდან გადაუხვიეს და ტყისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვნენ. ბილიკს ნაფეხურები კი ეტყობოდა, მაგრამ მაინც გაუკვალავი იყო... უჭირდა ძაღლებს, მაგრამ არ ჩერდებოდნენ, ჯიქურად მიიწევდნენ წინ.

— რა ბილიკია ეს? — ჰკითხა პროკურორმა ერთ-ერთ ადგილობრივს.

— მოკლე გადასავლელია ცენტრალურ გზამდე, ზაფხულობით აქედან დავდივართ ფეხით. — უპასუხა მან.

სამხედროების მიერ გატკეპნილ ბილიკზე უკან მიმავალთ რამდენადმე გაუადვილდათ გადაადგილება. ძაღლებმა მოძრაობასაც უმატეს და ყეფასაც.

— ძაღლებს, ეტყობა, გზა აერიათ, აქედან დაახლოებით 200-300 მეტრი და ცენტრალურ გზაზე ვიქნებით. — უთხრა პროკურორს იმავე ადგილობრივმა.

ძაღლები შედგნენ და ყმუილი ატეხეს.

— ცუდის ნიშანია, მამუკა, ძაღლის ყმუილი. — გადაულაპარაკა პროკურორმა პოლიციის უფროსს.

მიუახლოვდდნენ იმ ადგილს, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა. სამხედროებს თავი ჩაეხარათ, ძაღლები ისევ ყმუოდნენ.

— ვაიმეე! — ერთდროულად აღმოხდათ ხავილი სიყრმის მეგობრებს.

მათ თვალწინ, თოვლში პირაღმა ეგდო ლამის კისერმოკვეთილი კაპიტანი ჟღენტი...

...

— ზურაბ ალექსანდროვიჩ, მამუკა გოგუა გაწუხებთ.

— გისმენ. მშვიდობა ხომაა? ხმა არ მომწონს შენი.

— ცუდი ამბავია, უბნის რწმუნებული ბორის ჟღენტი მოგვიკლეს ბანდიტებმა.

— რას ამბობ, მამუკა?! — პარტიის რაიკომის პირველი მდივნის, ყოველთვის მშვიდი, გაწონასწორებული და ინტელექტუალური კაცის ხმამამაღალმა ლამის გახეთქა ყურმილი.

მიუახლოვდდნენ იმ ადგილს, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა. სამხედროებს თავი ჩაეხარათ, ძაღლები ისევ ყმუოდნენ.

— ვაიმეე! — ერთდროულად აღმოხდათ ხავილი სიყრმის მეგობრებს.

მათ თვალწინ, თოვლში პირაღმა ეგდო ლამის კისერმოკვეთილი კაპიტანი ჟღენტი...

...

— ზურაბ ალექსანდროვიჩ, მამუკა გოგუა გაწუხებთ.

— გისმენ. მშვიდობა ხომაა? ხმა არ მომწონს შენი.

— ცუდი ამბავია, უბნის რწმუნებული ბორის ჟღენტი მოგვიკლეს ბანდიტებმა.

— რას ამბობ, მამუკა?! — პარტიის რაიკომის პირველი მდივნის, ყოველთვის მშვიდი, გაწონასწორებული და ინტელექტუალური კაცის ხმამამაღალმა ლამის გახეთქა ყურმილი. — გადაულაპარაკა პროკურორმა პოლიციის უფროსს

სულთათანა

პროფესორ ვახტანგ კუტუბიძის მოგონება



93 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი-სელექციონერი,სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ჩაქვის ყოფილი ფილიალის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ჩაის სელექციისა და მეთესლეობის განყოფილების გამგე ვახტანგ კუტუბიძე.

ბატონი ვახტანგი დაიბადა 1928 წელს ჩოხატაურის რაიონში, სოფელ ქვენობანში. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1951 წელს სწავლა განაგრძო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ასპირანტურაში. აკადემიკოს ქსენია ბახტაძის ხელმძღვანელობით შეისწავლა ჩაის სელექციური ჰიბრიდების გენერაციული მოქმედება და 1959 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

მრავალწლიანი კვლევის შედეგები სუბტროპიკული კულტურების ბიოლოგიის საკითხებზე გამოქვეყნებულია 100-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლებში მისი თანაავტორობით გამოქვეყნებული მონოგრაფიები: „ჩაის კლონური სელექცია“ და „ქართული სელექციური ჩაის ჯიშების და კლონების კვლევის შედეგები“. ბატონ ვახტანგის მიერ გამოყვანილია 200-ზე მეტი ჩაის ჰიბრიდი და ფორმა, მათ შორის ოთხი ჯიში. ასევე დიდია მისი წვლილი და დამსახურება ჩაის გენოფონდის შექმნის საქმეში. მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა კეთილშობილი დაფნის სელექციის და ბამბუკის ბიოლოგიის შესწავლის მიმართულებით. თანაავტორებთან ერთად, შეიმუშავა ციტრუსოვანთა და ტუნგის ნერგების გამოყვანის ტექნოლოგიები, რომლებიც წარმატებით დაინერგა წარმოებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტით. წლების განმავლობაში სამეცნიერო მივლინებებით წარგზავნილი იყო საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში.

დიდია ბატონი ვახტანგის წვლილი და დამსახურება ახალგაზრდა სპეციალისტების და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. ძირითად სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად იგი წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს სელექციისა და გენეტიკის სპეციალობით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში.

პროფესორი ვახტანგ კუტუბიძე მიეკუთვნება იმ გამორჩეული სპეციალისტების რიცხვს, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

ბატონი ვახტანგი გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით და საქმისადმი უდიდესი სიყვარულით. იყო გულისხმიერი, მოკრძალებული და ყურადღებიანი პიროვნება და ასეთად დარჩება კოლეგებისა და ახლობლების ხსოვნაში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობი ინსტიტუტის თანამშრომლები.

თვალსაზრისი

ეს ჩემი ნააზრევია, თქვენი კი თქვენ იცით

ოპერაციის მსგავსია, სისხლი, ძალადობა, მაგრამ ორგანიზმის გადასარჩენად, ანუ ქვეყანა შენდებოდა ძალიან, ძალიან დიდი სიყვარულითა და მხარდაჭერით. ეს ის ხალხია, რომლის უმრავლესობას არაფერი შეუქმნია ცხოვრებაში. მაშინ ცხოვრობდნენ „ბლატით“ და დღეს ცხოვრობენ „ნეპოტიზმით“. ეკლესიაში კი ლოცულობდნენ და ლოცულობენ არა რწმენით, არამედ შიშით. უმეტესობა იმ ეკლესიებისა სავსეა გამდიდრებული მღვდელ-მთავრებით, რომლებსაც, უბრალოდ არ შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეთ გაღატაკებულ და დამშეულ მრევლთან, რაც მსოფლიოს დაავადებაა და არა მხოლოდ საქართველოსი. სატანიზმს სახელმწიფოებრიობა არ გააჩნია, ეს ჩემი ნააზრევია, თქვენი კი თქვენ იცით.

გრამიტო (გერმანე) მამინაშვილი

ტელ. 551 97 75 22.

P.S. რა შეიძლება უშლიდეს ხელს რუსეთის ეკლესიაში წამოჭრილ საკითხს? შეიძლება ვცოდავ, მაგრამ ვერ შევიკავე თავი, არ მოგიყვეთ შემდეგი ისტორია: საყოველთაოდ ცნობილ არმანდ ჰამერსს თავის დროზე ვ. ლენინისთვის უჩუქებია ტილო, რომელზეც გამოსახულია მაიმუნი ეშმაკის ღიმილით თვალებში და ადამიანი თავის ქალით ხელში. ეს ტილო ვ. ულიანოვს ძალიან ყვარებია და თავის დასასვენებელ ოთახში ეკიდა (შედარებისთვის: სტალინის დასასვენებელ ოთახის კედელს ამშვენებდა სურათი, რომელზეც ჩანს, რომ გოგონა რძიანი ბოთლით კვებავს თიკანს)

ლენინის სიკვდილის შემდეგ არავის გახსენებია იმ ტილოს არსებობა. დღეისთვის კი კრემლში ვლადიმერ პუტინის კაბინეტის გვერდით ოთახში ყოფილა. რატომ ან როგორ მოხვდა ეს ტილო 76 წლის შემდეგ ვ. პუტინის დასასვენებელ ოთახში, ამას, ალბათ დრო გვიჩვენებს.

გ. მ.

სკანვორდი



პასუხები:

ნოდარ ბაქრაძე; ბაქარი — ალი ბაქრაძე; ბერლინი — ბერლინი; ბერლინელი — ბერლინელი; ბერლინი — ბერლინელი; ბეჭედი — ბეჭედი; ბეჭედი — ბეჭედი; ბეჭედი — ბეჭედ

გურიის რესპუბლიკა

ხელისუფლების ღონისძიებანი გურიაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით

იბეჭდება ეძსკლუზიური უფლებით

დასაწყისი იხ. „ალიონი,“№34-35



1905 წლის 3 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბმა თენგინის 77-ე ქვეითთა პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ **ვლადიმირ ალფტანს,** რომელიც დანიშნული იყო ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის სარკინიგზო ხაზების დაცვის უფროსად, აცნობა, რომ მის დაქვემდებარებაში იგზავნებოდა დამატებითი ჯარები, რათა ჩაეხშო რევოლუციური გამოსვლები **სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისისა** და **შოროპნ**ის მაზრებში. ალფტანს მიუთითეს ის პუნქტები, სადაც ჯარი უნდა ჩაეყენებინა: ქალაქი **ფოთი** – ფოთის ქვეითთასარეზერვო პოლკის 257-ე ასეული; ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 0,5 ასეული; დაბა **ოზურგეთი** – არტაანის 260-ე ქვეითთა პოლკის 2 ასეული; დაბა **ზონი** – ფოთის ქვეითთასარეზერვო პოლკის 257-ე ასეულის საყარაულო სამსახურის რაზმი; დაბა **ახალისენაკი** – გორის ქვეითთასარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; დაბა **ყვირილა (ზესტაფონი)** –გორის ქვეითთა სარეზერვო 259-ე პოლკის საყარაულო რაზმი; სოფელი **ჩოხატაური** – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული; სოფელი **ლანჩხუთი** – ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1 ასეული;

1905 წლის 12 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა **იაკოვ მალამამ** განკარგულება გაუგზავნა გენერალ-მაიორ **მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკის,** რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჯარების ყველა სახეობისაგან ჩამოყალიბდა რიონის რაზმი, რათა მისი მეთაურობით ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობა ჩახშოთ. განკარგულების შინაარსი ასეთია: ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით აუცილებელი გახდა რიონის საგანგებო რაზმის ფორმირება და მისი რკინიგზის სადგურ **ნატანებში** გადასროლა. რიონის რაზმის შემადგენლობაში უნდა შესულიყო:

ქვეითი ჯარი:

1.ყუბის ქვეითთა 155-ე პოლკის 2 ბატალიონი, ბატალიონის თითოეულ ასეულში 56 ჯარისკაცის, ოფიცერთა, უნტეროფიცერთა, არასამწყობრო მომზადების რიგითთა და სამედიცინო სამსახურის რიგითთა წესდებით განსაზღვრული რაოდენობით;

2. ელისავეტოპოლის ქვეითთა 156-ე პოლკის 2 ბატალიონი, რომლებიც იმჟამად ბათუმში იმყოფებოდნენ და იცავდნენ რკინიგზის ხაზს, 1 შტაბს-ოფიცრის, 22 უფროსი ოფიცრის, 1 ექიმის, 829 რიგითის შემადგენლობით. 155-ე და 156-ე პოლკების 4 ბატალიონი შეადგენდა ნაკრებ რაზმს 155-ე პოლკის მეთაურის წინამძღოლობით, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბებინა ნაკრები რაზმის შტაბი;

3.ყუბის პლასტუნთა მე-2 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 14 რიგითისა და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამწყობრო მომზადების რიგითებისა და 1 ექიმის შემადგენლობით;

4. ყუბის პლასტუნთა მე-5 ბატალიონი, თითოეულ ოცეულში 11 რიგითის და წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, ურიადნიკების, არასამწყობრო მომზადების რიგითების, სამედიცინო სამსახურის რიგითთა და 1 ექიმის შემადგენლობით.

კავალერია:

5.შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის 4 ასეული (რომელთაგან იმჟამად ერთი ბათუმში, მეორე კი ოზურგეთში იმყოფებოდა), ოთხივე ასეულში შედიოდა 443 კაზაკი, თითოეულ ასეულში იყო 2 ოფიცერი;

6. ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 2 ასეული (რომლებიც იმჟამად იმყოფებოდნენ ოზურგეთის მაზრის სოფლებში ჩოხატაურსა და ლანჩხუთში) 156 კაზაკისა და თითოეულ ასეულში 2 ოფიცრის შემადგენლობით.

ეს 4 ასეული შეადგენდა ნაკრებ რაზმს შავი ზღვის კაზაკთა მე-2 პოლკის მეთაურის წინამძღოლობით, რომელსაც უნდა ჩამოაყალიბებინა ნაკრები რაზმის შტაბი.

არტილერია:

7. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ბატარეა(4 ქვემეხი 2 ყუთი ყუმბარით) მე-7 სამთო ბატარეის ბრიგადით (2 ქვემეხი 6 ყუთი ყუმბარით), წესდებით განსაზღვრული ოფიცრების, სამწყობრო და არასამწყობრო მომზადების რიგითების შემადგენლობით.

განკარგულებაში მითითებული იყო, თუ რომელი ოფიცრები იგზავნებოდნენ რიონის რაზმის მეთაურის განკარგულებაში, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის რა რეზერვი, რა რაოდენობის ტრანსპორტი ექნებოდა რაზმს, როგორ მოამარაგებდნენ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს სურსათით და ცხენებს – ფურაჟით და სხვ.

1905 წლის 17 თებერვალს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა **იაკოვ მალამამ** გურიაში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად გაგზავნილ გენერალ-მაიორ **მაქსუდ(ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ) ავარსკის** გურიაში მთავარმართებლის საბჭოს წევრ ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის მივლინებასთან დაკავშირებით დამსჯელი ექსპედიციის შეჩერების განკარგულება გაუგზავნა. 18 თებერვალს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა იაკოვ მალამამ მიიღო დეპუტაცია, რომელშიც შედიოდნენ: ქალაქის თავები, თავადაზნაურობის წინამძღოლები და ქართული პრესის წარმომადგენლები. განიხილეს გურიაში შექმნილი ვითარება. იაკოვ მალამა დეპუტაციას დაჰპირდა, რომ ვითარების ადგილზე შესწავლის მიზნით გურიაში გაემგზავრებოდა კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი **ნიკოლაისულთან კრიმ-გირეი.**

პეტერბურგში სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით. 1905 წლის 21 თებერვალს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლაი II-მ მოიწონა მინისტრთა კომიტეტის წინადადებები კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ **იაკოვ მალამა**სთვის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებო უფლებების მინიჭების თაობაზე. იმპერატორის დასტურის შემდეგ 22 თებერვალს მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა:

1.გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისისა და სენაკის მაზრებში და ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში. ამ ტერიტორიაზე გავრცელდეს სამხედრო მდგომარეობით გათვალისწინებული წესები;

2. კავკასიის მთავარმართებლის მოვალობის შემსრულებელს იმ მაზრებში, სადაც სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული, მიენიჭოს სამხედრო მეთაურის უფლებები, ასევე – საგანგებო უფლებები სამოქალაქო უწყების ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, რათა აღდგენილ იქნას სახელმწიფო წესრიგი და საზოგადოებრივი სიმშვიდე;

3. კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს უფლება მიეცეს თავისი უფლებამოსილება გადასცეს ამისათვის დანიშნულ სამოქალაქო პირს ისე, რომ მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს თავისი განკარგულებები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის აღდგენას.

რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტის 1905 წლის 22 თებერვლის დადგენილება იმის მაუწყებელი იყო, რომ ქუთაისის გუბერნიასა და ბათუმის ოლქში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად საგანგებო ღონისძიებები გატარდებოდა.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის მოგზაურობა ოზურგეთის მაზრის შემოქედისა და ბახვის სასოფლო საზოგადოებებში (ფინასწარი ანგარიში)

კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი **ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი** თბილისიდან 1905 წლის 17 თებერვალს გავიდა და გურიაში, კერძოდ, სოფელ **ნატანებში**, 18 თებერვალს ჩავიდა, სადაც მომდევნო დღეც დარჩა. ნატანებში სულთან კრიმ-გირეი რამდენჯერმე შეხვდა და ესაუბრა რიონის რაზმის მეთაურს, გენერალ-მაიორ **მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის** და მისი შტაბის უფროსს. 20 თებერვალს სულთან კრიმ-გირეი **ოზურგეთში** ჩავიდა, გაეცნო მაზრის პოლიციის სამმართველოს მიერ მიწოდებულ ცნობებს და თავისთან დაიბარა რამდენიმე სოფლის მამასახლისი.

სულთან კრიმ-გირეიმ, პირველ რიგში, ის სოფლები შემოიარა, რომლებშიც მამასახლისები სასოფლო საზოგადოების ყრილობის მიერ იყო არჩეული. თბილისიდან მივლინებული მაღალი რანგის მოხელე ვარაუდობდა, რომ თუ ამ სოფლებში ვითარების ნორმალიზება მოხერხდებოდა, ეს კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა იმ სასოფლო საზოგადოებებზე, სადაც მამასახლისები ხელისუფლების მიერ იყვნენ დანიშნულნი, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

1905 წლის 22 თებერვალს სულთან კრიმ-გირეი **შემოქედის** სასოფლო საზოგადოების ყრილობას დაესწრო, 23 თებერვალს – ბახვის სასოფლო საზოგადოების ყრილობას. ორივე სოფელში შეხვედრები ზუსტად დანიშნულ დროს დაიწყო, შემოქედში ყრილობას 600 კაცი, ბახვში კი 500 კაცი დაესწრო.

შემოქედსა და ბახვში კრიმ-გირეიმ თავდაპირველადგლეხების საჩივრები მოისმინა, შემდეგ კი ორივე ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა. კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრმა სიტყვა ასე დაიწყო: „მოგესალმებით თქვენ, გურიის შვილებო! მე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თქვენ შორის არიან ისეთები, რომელთაც ესმით რუსული ენა. მიუხედავად ამისა, მე მსურს, რომ ჩემი სიტყვა მშობლიურ ენაზე მოისმინოთ, რათა უფრო გასაგები იყოს. ჩემს სიტყვებს თქვენ გითარგმნით პიროვნება, რომელსაც მე და ჩემთან ერთად ჩამოსულები კარგად იცნობენ."

კრიმ-გირეიმ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ცდილობდა გურულების გულის მოგებას და აღელვებული ხალხის დამშვიდებას. ამ მიზნით მან ხოტბა შეასხა გურიას და გურულებს. მოვიტანთ რამდენიმე ადგილს მისი გამოსვლიდან:

„– მე მოხარული ვარ ვესტუმრო მშვენიერ გურიას და ახლოს გავიცნო მისი მოსახლეობა. მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ჩამოსვლა თქვენ სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ;"

„–გურულები მამაცი და ნიჭიერი ხალხია";

„–თქვენი ახალგაზრდობა – გურიის სიამაყე და იმედია".

თავის სიტყვაში კრიმ-გირეიმ ყურადღება გაამახვილა გურიის მოსახლეობისათვის ისეთ საჭირბოროტო საკითხზე, როგორიც იყო სკოლების უკმარისობა. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ სოფელში ბავშვებმა, სკოლაში რომ მივიდნენ, 5-6 ვერსი უნდა გაიარონ. ამ და კიდევ სხვა სიძნელეების მიუხედავად, სასკოლო ასაკის 3/4? მაინც დადის სკოლაში. სწავლისადმი ასეთი დამოკიდებულება ამიერკავკასიის ბევრი ხალხებისათვის სამაგალითო უნდა იყოსო.

სასკოლო განათლებაზე საუბრის შემდეგ კრიმ-გირეი შეეხო საჭირ-ბოროტო და, შეიძლება უთქვას, საშიშ საკითხს: „მე მითხრეს, რომ თქვენ შორის ბევრი ისეთი ადამიანია, რომელსაც თავი გახურებული აქვს. ნუ განსჯით მათ ძალიან მკაცრად, მაგრამ ნურც მათ მოუფიქრებელ მითითებებს შეასრულებთ და მათ მზნებარე მოწოდებებს ცივი გონებით განსჯა დაუპირისპირეთ. ნურც იმ მზრუნველ რუსებს დაუჯერებთ, რომლებიც აქ ყოველგვარი რუსულის სასწარფოდ დანერგვაზე ოცნებობენ. რუსი მზრუნველების მიზანი ძალზე სიმპათიურია, მათ სურთ, რომ დიდი რუსეთის ყველა მცხოვრები, მრავალრიცხოვანი ხალხებიშეადგენდნენ ერთ ოჯახს და ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ერთ საერთო ენაზე საუბრობდნენ. მათ სურთ დააჩქარონ თავიანთი მონდო-მებითი სტორიის მსვლელობა და მხედველობიდან გამორჩათ, ის, რომ გაერთიანების სურვილი ნაყოფიერი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ბუნებრივად და უმტკივნეულოდ მოხდება." კრიმ-გირეი მსმენელთა გულის მოგების მიზნით კიდევ უფრო შორს წავიდა: „ასეთი ერთობა, მაგალითად, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველმა დაივიწყოს ყველაფერი ქართული, მშობლიური."

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი გურიაში შექმნილ ვითარებასაც შეეხო და იგი დაახასიათა, როგორც მძიმე. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთად-ერთ საშუალებად მან წესრიგის მკაცრად დაცვა, ხელისუფლებისა და კანონებისადმი სრული მორჩილება მიიჩნია და თანაც ხალხის გულის მოგების მიზნით განაცხადა: მთა-ვარმართებელმა დამავალა მომესმინა თქვენი საჩივრები და განცხადებები. ამასთან ერთად, უფლება მომცა თქვენ დაგპირებოდით, რომ საჩივრები და განცხადებები, თუ ისინი სამართლიანი და კანონიერი იქნებოდა, მთავა-რმართებლის მიერ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდებოდა და თუ საჩივრებისა და თხოვნების დაკმაყოფილება მთავა-რმართებლის უფლებამოსილებას აღემატებოდა, მაშინ მთავარმართებელი შუამდგომლობას აღძრავდა იმპერატორის წინაშე.

ცხადია, კრიმ-გირეი უმთავრეს და მწვავე საკითხებს გვერდს ვერ აუვლიდა, მაგრამ ცდილობდა მათზე საუბრისას არ გამოეყენებინა რადიკალური გამონათქვამები: „გურიაში მომხდარს შეიძლება ახსნა მოეძებნოს. მაგრამ მისი გამართლება არ შეიძლება. არ შეიძლება თქვენ უკანონოდ არ მიიჩნიოთ საზოგადოების ზოგიერთი წევრის მოქმედება, ქცევა. მე თქვენ არ გეკითხებით, ვინ არის დამნაშავე, მაგრამ გთხოვთ, გაიაზროთ თქვენთვის, თქვენი ოჯახებისათვის და თქვენთვის ძვირფასი გურიის მომავლისათვის საბედისწერო შედეგები, ის შედეგები, სანამდეც მიგვიყვანს კანონებისა და ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებ-ლობის გაგრძელება".

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ შეკრებილებს განუცხადა, რომ კავკასიის მთავარმართებელი კეთილგანწ-ყობილებას იჩენდა გურიის მოსახლეობის მიმართ, რის დასტურს მთავარმმართებლის საბჭოს წევრის გურიაში მივლინება წარმოადგენდა. ამავე დროს მან სავსებით გარკვევით აღნიშნა: „ჩემი მოგზაურობა გურიაში არის კავკასიის მთავარი ხელისუფლის უკანასკნელი ცდა მშვიდობიანი გზით მოგვარდეს სამწუხარო გაუგებრობები". ამის შემდეგ კრიმ-გირეიმ ისევ დაუყვავა გურულებს: „განიხილეთ ჩემს მიერ თქმული, მე არ გაჩქარებთ პასუხის გაცემას, მოელაპარაკეთ მათ, ვისაც თქვენ საჭიროდ ჩათვლით, ვისაც თქვენთვის სიკეთე უნდა. ღმერთი იყოს თქვენთან, რათა ამ უმძიმეს წუთებში შეინარჩუნოთ სიმშვიდე და თქვენთვის დამახასიათებელი სიფრთხილე და კეთილგონიერება".

(გაგრძელება იქნება)

ვასტანგ გურული

(ვასტანგ გურული, ,,საქართველოს ახალი ისტორია'' (1801-1818წ.წ) გვ. 333-3360

აქ ჯერ კიდევ დიდია კავშირი, დუმბაძისეულ თხრობასა და აქაურ სინამდვილეს შორის



კორცხოულას მთაზე ამოგორებული მზე კარგა ხნის დაპატრონებული იყო ნაავდრალი მთის ფერდობებს. დედამიწა თავის ფიქრებს, ორთქლის ფთილებად უშვებდა ცისკენ. ლაშისღელეც წყნარად მიიკვლევდა გზას ბარისკენ. ცისკენ ხელებაწვდილი, ფოთლებშემოძარცვული ხეები მზეს ეფიცხებოდნენ და უყვებოდნენ თითქოს მთისა და ბარის ამბებს. ამ მშვენიერ ხეობას შეყოლილი გზიდან გურული სოფელი შემოგყურებს თავისი ხიბლითა და სევდით.აქ, ერთმანეთს ენაცვლება ზამთრის სიცივის მიუხედავად, ქუჩაში, ან ეზოში მოთამაშე პატარების ჟრიამული; ოდა-სახლებიდან ამომავალი კვამლი. ზოგან კი მიტოვებული სახლები, დადუმებული ეზო-კარი, პატრონის მოლოდინში.

ემოცია მოსძალებოდა მშობლიურ ფესვებს მიახლოებულ მგზავრს. *„მახსოვს, პატარა ვიყავი, მამამ ახლობლის გასვენებაში წამიმყვანა თავის მშობლიურ სოფელში. აღმართიანი გზით ვიარეთ, როგორი სიყვარულით მიიღეს მამა ახლობლებმა. აქ არის ჩვენი ფესვები“.*

მასპინძლები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ინტაბუეთის მკვიდრი, გივი ანთაძე და ნათელა მურადაშვილი გახლდათ. გულთბილმა ღიმილმა დასწრო სიტყვას, მობრძანდითო, სიტყვამაც გაიღიმილა. ეზო, რთული რელიეფით, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც, მოხერხებულად მოსადაგებული, გამრჯე და გონიერი ადამიანების ხელის წყალობით.

ოჯახის დიასახლისის გულწრფელი მოგებება და, ამ დიდებული ბუნების და ჩვენი მასპინძლების „ტყვეებად“ ვიქეცით.

ვაზი სხვადასხვა ჯიშის, „ჩხავერი,“„ცოლიკოური,“„კამური,“ „პინო,“ „იზაბელა“ თეთრი და შავი... მოვლილი, მოფერებით განებივრებული; მზიან ამინდში გამოფენილი, მოფუსფუსე ფუტკარი, ციტრუსი, თითქმის ყველა სახეობის, სხვადასხვა ჯიშის ხეხილი; საქონელი; აქ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და საკუთარი ნიშა. არ არის ადვილი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან საკმაოდ დაშორებულ, ამ რთულ პირობებში, ასეთი მეურნეობის მოვლა და გაძღოლა. მით უმეტეს, როცა სახელმწიფო სამსახურში მუშაობ. ამ ყოველივეს ვერც შეეჭიდები, თუ არ გაქვს დიდი სიყვარული, ჟინი და თავდაჯერება, რომ შენ ამ ყველაფერს შესძლებ.

„ჩვენ გურიელების კარის აზნაურები ვყოფილვართ, მეღვინეობის დარგი გვებარაო გამგონია მამაჩემისგან, გვიყვება ბატონი გივი. ბებია ნაკაშიძის ქალი იყო.“

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, მოსკოვში ჩაუბარებია გამოცდები. შვილი დამეკარგებაო... მშობლებმა და, გივი, მათივე თხოვნით, დაბრუნებულა საქართველოში. მუშაობდა ტრენერად ქ. თბილისში, მთავარ ვეტერინარად მეცხოველეობის და მეფრინველეობის დარგში: ერკეთში, ნაბეღლავში, ნაგომარში.

შემდეგ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და უმაღლესი შეფასებით, ოზურგეთში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო ლაბორატორიაში დაინიშნა მთავარ სპეციალისტად. ამჟამადაც იქ მუშაობს. თანამშრომლები ახასიათებენ, როგორც მაღალ პროფესიონალს, კარგ მეგობარს და პიროვნებას. ბატონი გივი საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწევა მეფუტკრეობის დარგში, აქვს საკუთარი ბლოგი **antadze.ge,** სადაც ბევრი საინტერესო რჩევაა დამწყები მეფუტკრეებისა და ამ დარგით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

თბილისში ყოფნის პერიოდში, 45 წლის წინ გაუცნია მისი მომავალი მეუღლე. ქ-ნი ნათელა წარმოშობით კახეთიდან, თბილისში გაიზარდა.

„გივი რომ გავიცანი, თბილისში ვმუშაობდი, თავდაპირველად გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ არ შევმცდარვარ. გივი ისეთი ადამიანია, მის გვერდით, თავს ყველგან კომფორტულად გრძნობ. ის არა მხოლოდ ოჯახის წევრებისთვის, ყველას მეკჩირისუფლე, მზრუნველი და გვერდით მდგომელია.“

ორი შვილი ჰყავთ, ნანა და გია. სამი შვილიშვილი. ნანა თავის ოჯახთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს და იქ მუშაობს. გია თბილისშია და ლუგარის ლაბორატორიაში, კომუნიკაციის განყოფილების მენეჯერია.

მასპინძლებთან, და მათ თანასოფლელ ამირან სიხარულიძესთან საუბარს თანდათან შემოჰყვნენ ეზოში ნოდარ დუმბაძის გმირები, მათი პროტოტიპები. კორცხოულას მთა ვახსენეთ და ამ მთის გაყოლებაზე, სამხრეთ- დასავლეთ ფერდობის თავზე მოჩანს სოფელი ზენობანი, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი. დანგრევის პირას მყოფ ტაძარზე ისაუბეს

„იქოურებმა“. გადმოცემის მიხედვით, გუბაზ მეფეს აუგია ეს ტაძარიო.*„ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზოული ჩამოუდის, მარცხნივ კი ლაშის ღელე“* წერს ნოდარ დუმბაძე თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობაში „მე,ბებია,ილიკო და ილარიონი“.გივის მამა,გრიგოლ ანთაძე, ნოდარის თანაკლასელი ყოფილა, ერთად იჭერდნენო კიბორჩხალებს ლაშისღელეში. იობის პროტოტიპი მღვდელი , იორამ ჩიგოგიძე უნდა ყოფილიყო.

აქ ჯერ კიდევ დიდია კავშირი დუმბაძისეულ მონათხრობსა და აქაურ სინამდვილეს შორის, სადაც ხშირად, ადამიანურ ურთიერთობებსა და თითქოსდა მარტივ იუმორში, ცხოვრების ურთულესი ყოფა, მთელი ფილოსოფიაა განფენილი. სადაც მზეა თავად სიკეთე, ხოლო სიკეთე, მზესავით თბილი.

მგზავრი ვახსენეთ წერილში ზემოთ. იგი, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ცნობილი რეჟისორი, წარმოშობით იქაური, ბატონი ვასილ ჩიგოგიძეა, რომელიც ანთაძეების ოჯახს, მეუღლესთან, მარიანა სლენესთან ერთად ეწვია. მანაც ბევრი გაიხსენა მამისგან ნაამბობი. ემოციურმა ფონმა კიდევ მეტად იმძლავრა, როცა იგი ქეთი დუმბაძეს ესაუბრა ტელეფონით. ეს არ იყო ოფიციალური, თუნდაც გულთბილი საუბარი. ეს იყო საუბარი ბავშვობასთან, ყრმობასთან, იმ მამულ-დედულეთთან, საიდანაც იწყება სამყაროს აღქმა და შეცნობა.

ბუნების მშვენიერებით საოცრად მოიხიბლა ქ-ნი მარიანა. იცით, ჩვენთან, ლიეტუაში, ნაზამთრალი ბუნების ფონზე, თუნდაც პატარა, მწვანე ბალახის გამოჩენა, დღესასწაულის ტოლფასია. აქ კი ყველა ნაბიჯზე დღესასწაულია, ამბობს სტუმარი და ბალახებში აქა- იქ მიმობნეულ ყვავილებს ეფერება.

ამ ხანში, მზეც თანდათან მიეფარა თვალსაწიერს და ლაშისღელეც მეტად ახმიანდა. ჩვენს სასიამოვნო მასპინძლებსაც დავეშვიდობეთ და თან გამოვიყოლეთ მათი გულთბილი, საინტერესო მასპინძლობა, რაც ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთი ლამაზი ნაწილია.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას

მთელი გულით ვულოცავ აღთქმული ქვეყნიდან ჩემი მშობლიური კუთხის გურიის, კერძოდ, ოზურგეთის რაიონულ გაზეთ „ალიონს“ თავისი მეტად სახელოვანი ჟურნალისტური მოღვაწეობის 90 წლის იუბილეს.

მით უფრო, რომ აქ ორიოდე თვის წინ, არც კი ვიცოდი, ისე მოულოდნელად დაიბეჭდა ჩემი სტატია, რამაც სიმართლე გითხრათ განსაკუთრებული სიხარული მომგვარა. ეს ჩემი კოლეგისა და მეგობრის, ცნობილი ჟურნალისტისა და ამ გაზეთის რედაქტორის, ნუგზარ ასათიანის დიდი დამსახურებითა და დაინტერესებით მოხდა.

„ალიონი“ ჩემთვის, უპირველესად, მაინც მამაჩემთან - გიზო ჭელიძესთან ასოცირდება.

ეს მისი საქმიანობის დასაწყისი და შემოქმედებითად უაღრესად საინტერესო პერიოდი გახლდათ, რომელიც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდა, მიუხედავად იმისა, რომ ათიოდე წლის შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადავედით, სადაც მან სამეცნიერო მუშაობა გააგრძელა.

ის განსაკუთრებით აღნიშნავდა ბატონ **ვახტანგ ჯაყელის**, როგორც რედაქტორის მკაცრ, მაგრამ მეტად პრინციპულ და სამართლიან დამოკიდებულებას რედაქციის თანამშრომელთა მიმართ. ასევე მიუთითებდა მეორე რედაქტორთან, ბატონ **აფთონ გურგენიძისთან** პროფესიული თანამშრომლობისა და გულიათადი ადამიანური ურთიერთობების შესახებ. და შემდგომ, უდავოდ გამორჩეული იყო შემოქმედებითი კავშირები მის ახალგაზრდა კოლეგასა და უმცროს მეგობართან ბატონ ნუგზარ ასათიანთან.

მეტად საგულისხმო და სახალისო შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა მამაჩემი თავის კოლეგებთან, რედაქციის თანამშრომლებთან ურთიერთობებზე, საინტერესო და ემოციურ თავგადასავლებზე. კერძოდ, ესენი გახლდათ,- **მამია კილაძე, ელგუჯა შევარდნაძე, ლამარა სიმონიშვილი, თამაზ სალუქვაძე, ვაჟა ჭანუყვაძე, ნუგზარ ქინქლაძე, მინდია თავაძე** და სხვები.

გარდა ჟურნალისტური სტატიებისა რაიონულ გაზეთში გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობები და ლექსები.

ჩემთვის ძალიან გულშიჩამწვდომია „ალიონში“ დაბეჭდილი პოეტ **გენრიეტა ქუთათელაძის** მოგონება (ქალბატონ გენრიეტათან ხშირი შეხმიანება და მიმოწერა მაქვს):

„განსაკუთრებული სიყვარულით გაზეთის რედაქციასთან შექმნილი ლიტერატურული გაერთიანება სარგებლობდა, რომელსაც გიზოჭელიძე ხელმძღვანელობდა. გაზეთის რედაქტორი აფთონ გურგენიძე კი ამ გაერთიანებას მხარს უჭერდა და გაზეთის ფურცლებზეც ხშირად ქვეყნდებოდა ლიტერატურული ჩანაწერები. სწორედ მისი ძალისხმევით გაიმართა არაერთი ლიტერატურული საღამო“.

რამდენადაც ვიცი, ლიტერატურული საქმიანობის პარალელურად გაზეთში ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი მის მიერვე შემოღებულ რუბრიკას - „ხალხური მარგალიტების კვლადაკვალ“.

როგორც ცნობილია, მან ამ გაზეთში დაწყებული ფოლკლორული და ლიტერატურული მოღვაწეობა თბილისში განაგრძო აკადემიურ საქმიანობასთან ერთად.

უაღრესად მნიშვნეოვანია, რომ წინა თაობის ჟურნალისთა საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციები „ალიონში“ დღესაც ღირსეულად გრძელდება და გისურვებთ წარმატებებს

ლადო ჭელიძე,
პროფესორი

„ნიუჯენი“ გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის თვშ-ს ბრენდის შიგაწვის და ელექტროსკუტერებს, ასევე ჩაფხუტებს და სხვა მოტო აქსესუარებს.

გადმოჯექი სკუტერზე, იმგზავრე ეკონომიურად და გაუფრთხილდი გარემოს“.ტელ: 593 91 91 99

მის: ოზურგეთი, სოფ. ლიხაური

ელ-ფოსტა: **newgengeorgia@gmail.com**

7 დღის ამინდის პროგნოზი

4 თებერვალი	5 თებერვალი	6 თებერვალი	7 თებერვალი	8 თებერვალი	9 თებერვალი	10 თებერვალი
მზე, ღრუბელი +8+17	წვიმა +6+11	წვიმა +8+12	წვიმა +10+14	მზე, ღრუბელი +12+19	მზე, ღრუბელი +12+20	მზე +8+19
ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი